სსიპ ეროვნული
სატყეო სააგენტო

21 ოქტომბერი 2025

GOV N 3088/ს

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების (კავშირგაბმულობის) სახაზო ნაგებობის განთავსებისთვის ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით N 1037 ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 64-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თ) ქვეპუნქტის, 79-ე, 83-ე და 86-ე მუხლების, ასევე, შპს „სელფი მობაილის“ 2025 წლის 30 ივლისის N544/25 წერილისა და ტყითსარგებლობის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 20 ოქტომბრის N20445 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსებისათვის, ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტზე:

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) 200 $მ^2$ (ს/კ 56.20.50.305) მიწის ფართობი, მდებარე კახეთის სატყეო სამსახურის ლაგოდეხი-დედოფლისწყარო-სიღნაღის სატყეო უბნის ხირსას სატყეოს კვარტალ N28-ის ლიტერ N2-ში.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ტყითმოსარგებლის ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტოს“ ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის N34) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა ცერცვაძე

სააგენტოს უფროსი

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო